დაგროვებითი საპენსიო სისტემის მნიშვნელობა საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობისთვის საქართველოში

ლალი ლაბაძე

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საბანკო და საფინანსო საქმის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

ფინანსები და საბანკო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლალი ლაბაძე

04/21/2023

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი-დაგროვებითი საპენსიო სისტემის მნიშვნელობა საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობისთვის საქართველოში, ეხება შემოღებულ სავალდებულო, დაგროვებითი საპენსიო სისტემის ზეგავლენას საქართველოს მოქალაქეების მომავალ, მოსალოდნელ კეთილდღეობაზე. კერძოდ, ნაშრომის მიზანია, განისაზღვროს რა დადებითი და უარყოფითი შედეგი შეუძლია მოუტანოს ახალმა სისტემამ სახელმწიფოსა და საპენსიო სისტემის მონაწილეებს. ნაშრომში განხილულია საპენსიო სისტემის ცვლილების შედეგად გამოწვეული მოსალოდნელი ეფექტიანობა, ასევე განხილულია საპენსიო სისტემების სხვა ქვეყნების მაგალითები და შესაძლებელია მსგავსება/განსხვავების განსაზღვრა. ნაშრომში საუბარია, საქართველოს საპენსიო სააგენტოს მიზნებსა და შესაძლებლობებზე, რომელიც დაკავშირებულია საპენსიო სისტემაში მონაწილე ადამიანების მომავალ ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. ნაშრომში ასევე საუბარია გვერდით დადებით ეფექტებზე, როგორიცაა ეკონომიკური მდგრადობა და კაპიტალის ბაზრის განვითარება.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდით, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით. ინტერვიუები ჩატარდა, სააგენტოს წარმომადგენლებთან, ფინანსისტთან და საპენსიო სისტემის მონაწილეებთან. კვლევის შედეგად დადგინდა რომ საპენსიო სისტემა აუცილებელია მონაწილეების კეთილდღეობისთვის, თუმცა მონაწილეებს სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ სავალდებულო, დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ, რადგან აქვთ ინფორმაციის ნაკლებობა საპენსიო სისტემის აუცილებლობის შესახებ, აქვთ უნდობლობა სახელმწიფოს მიმართ და არ აქვთ სურვილი რომ იყოს სავალდებულო, მონაწილეობა საპენსიო სისტემაში.

მთავარი სიტყვები: საპენსიო სისტემა, მონაწილეების კეთილდღეობა, ეკონომიკის მდგრადობა, კაპიტალის ბაზარი, მონაწილეების დამოკიდებულება, საპენსიო სააგენტო.

Abstract

The master's thesis - the importance of the accumulated pension system for the economic well-being of the society in Georgia, refers to the impact of the introduced mandatory, accumulated pension system on the possibility of future well-being of Georgian citizens. In particular, the aim of the paper is to determine what positive and negative results the new system can bring to the state and pension system participants. The expected effectiveness caused by the change of the pension system is discussed in the paper, examples of pension systems in other countries are also discussed and similarities/differences can be determined. The paper talks about the goals and objectives of the Pension Agency of Georgia, which are related to the future economic well-being of people participating in the pension system. The paper also talks about positive side effects such as economic stability and capital market development.

The research was conducted using a qualitative method, in particular, using an in-depth interview. Interviews were conducted with agency representatives, financier and pension system participants. As a result of the research, it was determined that the pension system is necessary for the well-being of the participants, however, the participants have a skeptical attitude towards the mandatory, accumulative pension system, because they lack information about the necessity of the pension system, they have distrust towards the state and they do not want mandatory participation in the pension system.

Key words: pension system, welfare of participants, sustainability of economy, capital market, attitude of participants, pension agency.